

0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

სპეციალური მასწავლებლის როლი ინკლუზიურ განათლებაში

ნინო მაზმიშვილი

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Gori State University

mazmishvilin@gmail.com

რეზიუმე

ნაშრომის საგანია ინკლუზიურ განათლებაში მასწავლებლის როლის, დანიშნულებისა და საგანმანათლებლო მნიშვნელობის და შედეგების კვლევა. ძირითადი თემაა საქართველოში ზოგადი განათლების სისტემის მიზის - შექმნას ხელსაყრელი საგანმანათლებლო პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური განსხვავების მიუხედავად, მათთვის ზოგადი განათლების მიღების თანაბარი, შეუზღუდავი შესაძლებლობის სასწავლო ველის შექმნა. ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნული იდელების განსახორციელებლად, განათლების რეფორმით გათვალისწინებული ინკლუზიური განათლების დანერგვას. ვგულისხმობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თავიანთ თანატოლებთან. ცხადია, აქვე იგულისხმება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას, რაც განსაზღვრულა საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ. ჩვენი კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში სასწავლო პროცესების განხორციელების პროცესში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ კვლევის შედეგად შემოთავაზებული რჩევები და რეკომენდაციები დაეხმარება უნარშეზღუდული ბავშვების განათლების სისტემაში ინტეგრაციას, რომლის მთავარი შემოქმედი არის მასწავლებელი.

საკვანძო სიტყვები: სპეციალური მასწავლებელი, ზოგადი განათლების სისტემა, ინკლუზიური განათლება, ინტერვენცია, იზოლაციის სტადია, ინტეგრაციული სტადია, ინკლუზიური სტადია, საბაზო აკადემიური უნარები, მულტიდისციპლინური გუნდი.

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური განსხვავების მიუხედავად, ყველა ადამიანის მიმდებლობა, მათთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის მინიჭება. სწორედ ამ იდელების განსახორციელებლად, განათლების რეფორმით გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების დანერგვა, რომელიც გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.¹ აღნიშნული პროცესის წარმატებით უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს ადამიანური, მატერიალური და ციფრული რესურსების მობილიზება და შექმნა. ეს ეხება სასკოლო მეთოდურ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა სახის კვლევებს, კვლევების რევიზიას და მათი ანალიზის საფუძველზე ეფექტურ ინტერვენციებს საკანონმდებლო დონეზე თუ სასწავლო პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მომსახურებამ სამი სტადია გაიარა: 1) **იზოლაციის სტადია** - მოსწავლეებს ან უარს ეუბნებოდნენ სახელმწიფო სკოლებში მიღებაზე ან დაიშვებოდნენ მხოლოდ იზოლაციურ გარემოში, 2) **ინტეგრაციული სტადია** - (დაიწყო 1970 წელს), სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები შეძლებისდაგვარად იყვნენ ჩართულნი, ინტეგრირებულნი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში, 3) **ინკლუზიური სტადია** (დაიწყო 1980-იან წლებში) - ხაზს უსვამდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის ყველა პროგრამასა და ღონისძიებაში.

¹ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 3

სხვადასხვა ქვეყანაში ინკლუზიური განათლების განვითარების გზები განსხვავებულია. მაგ. აშშ-ში მე-20 საუკუნის ბოლოს ჩატარებულმა ფუნდამენტურმა კვლევებმა აჩვენა, რომ „მოსწავლეთა მხოლოდ 10% სწავლობდა საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების შესატყვისად. ისეთ მოსწავლეთა რაოდენობამ კი, რომლებსაც ესაჭიროებოდა საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად მათ საჭიროებებზე ინდივიდუალურად მორგებული დახმარება, მიაღწია მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 90%-ს“.²

თანამედროვე მიდგომებით, ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკური, გონებრივი და ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე ბავშვებისა და მოზარდების ინტეგრაციას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ინკლუზიური განათლება არის სწავლების დამაზრკოლებელი ბარიერების განსაზღვრის, შემცირების ან აღმოფხვრის ორმხრივი პროცესი. მისი სტრატეგიები გულისხმობს კავშირს მოსწავლესა და გარემოს შორის, ე.ი მიზნად ისახავს ყველა მოსწავლის შეფასებას, მისი ძლიერი მხარის და საჭიროებების დადგენასა და უზრუნველყოფას. ეს პროცესი იწვევს ცვლილებებს სწავლების შინაარსის, მეთოდოლოგიის, სტრუქტურისა და სტრატეგიების თვალსაზრისით.³

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, ინკლუზიურ განათლებას განმარტავს როგორც „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად“, რაც, თავისთავად გულისხმობს, იმას, რომ ასეთი მოსწავლეები განათლებას უნდა ღებულობდნენ თავიანთ თანატოლებთან ერთად და არა იზოლირებულად. უნდა ითქვას, რომ ამ კანონის განხორციელებას, გარკვეული უკმაყოფილების ტალღა მოჰყვა არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების მშობლებისაგან, არამედ, საჯარო სკოლებიდანაც⁴. თუმცა, ყველაზე მეტად აქ მაინც მასწავლებლის როლი გამოიკვეთა, რომელსაც ტიპიური განვითარების და შეზღუდული უნარების მქონე მოსწავლეზე ერთნაირად უნდა ეზრუნა. ასე დაგეგმილი სასწავლო პროცესის წარმატება კი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დამოკიდებულია სპეციალურად მომზადებულ, შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე მასწავლებელზე. ინკლუზიური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა მასწავლებელს ტრადიციულთან ერთად, სპეციფიურ მოთხოვნს უყენებს. სპეციალური მასწავლებელი არის მასწავლებელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეაფასოს მოსწავლის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები; განსაზღვროს და განხორციელოს სწავლების შესაბამისი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. კონსულტაცია გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელს/ებს და სხვა სპეციალისტებს მოსწავლის სწავლასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე, რომელსაც, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ვერ ძლევის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ის პედოგოგები, რომელთაც გარკვეული ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების საკითხებში, მიიჩნევენ, რომ ინკლუზიის წარმატებით განხორციელება გარკვეულწილად დამოკიდებულია მათ აქტივობასა და ქმედებებზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი მოემზადონ თავად და მოამზადონ კლასი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მისაღებად; რამდენად შეძლებენ ისინი უზრუნველყონ კლასში სწავლების მაღალი აკადემიური დონის შენარჩუნება და ამასთანავე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვა სწავლა სწავლების პროცესში.

² მუსერიძე-ჯავახიშვილი თ., ინკლუზიური განათლების ერთი ფსიქოლოგიური ასპექტი, თბ., 2016, გვ.115.

³ ბერიტ ჰ. იონსენისა და მირიამ დ. შერტენის რედაქციით, ინკლუზიური განათლება, განათლება-განსხვავებული საჭიროებების მქონე პირთა განათლება, თბ., 2001, გვ. 12

⁴ უნდა აღინიშნოს, რომ სსსმ მოსწავლეების ჩვეულებრივ საკლასო სივრცეში სწავლებასთან დაკავშირებით დღესაც ვხვდებით ბევრ უკმაყოფილებას და სტერეოტიპს. ამ პრობლემის აღმოფხვრის ბერკეტად მიგვაჩნია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება შშმ და სსსმ პირების მიმართ. მასში თანაგრძნობისა და ემპათიის გაჩენა

ამასთან დაკავშირებით პედაგოგთა უმეტესობა ხაზგასმით აღნიშნავს სხვადასხვა სპეციალისტის მიერ პროფესიონალური დახმარების აუცილებლობას.

განისაზღვრება ოთხი სახის სპეციალური მასწავლებელი: ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი; ქცევის და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი; სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი; მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე შემუშავდა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი მისი პროფესიული უნარები, მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, განხორციელებისა და მონიტორინგის კომპონენტები, სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის თავისებურებები, თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, მისი პროფესიული ცოდნა და სხვა.⁵

სპეციალური მასწავლებელი მონაწილეობას იღებს როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, ასევე ზოგადად, ინკლუზიური განათლების დანერგვასა და უზრუნველყოფაში, სასკოლო სივრცეში ინკლუზიური სწავლების კულტურის სასკოლო კულტურად ქცევის პროცესში. მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლების კომპეტენცია და ასევე შეუძლია დაეხმაროს მათ მშობლებს, მასწავლებლებს და სხვა სპეციალისტებს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ამ მოზარდების ინტეგრაციის პროცესში. სპეციალური მასწავლებელი ეხმარება კლასის დამრიგებელსა და საგნის მასწავლებელს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების, მისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მორგებისა თუ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელების დროს. ის მათ რეკომენდაციებს უწევს მოსწავლის განათლებასთან, ქცევის მართვასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სპეციალური მასწავლებელი, საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთან, დამრიგებელთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/მეურვესთან ერთად მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში;

მიუხედავად პრობლემის აქტუალობისა, დღეს კიდევ ბევრი სირთულეა ინკლუზიური განათლების სფეროში. საკმაოდ ცოტაა სპეციალური მასწავლებელი და სხვა სპეციალისტი, ვისაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ცოდნა და გამოცდილება აქვს. მიუხედავად სხვადასხვა საგანმანათლებლო, აკადემიური თუ სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელებისა, მაინც შეინიშნება ამ კატეგორიის მასწავლებლების სიმცირე.

ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით ხშირად საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პრობლემის მოგვარებისა და წარმატების მიღწევაში. სახელმწიფო პოლიტიკა ზრუნავს სასწავლო პროცესში არაეთიკური ტერმინების აღმოფხვრასა და ადეკვატური პროფესიული ტერმინების დამკვიდრებაზე; სპეციალური მასწავლებელი ითვალისწინებს ეთნიკურ, რელიგიურ, ლინგვისტურ, სქესობრივ და სხვა თავისებურებებს (უნიკალობას) სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში; იდენტიფიცირებას უკეთებს სხვადასხვა სახის დარღვევას, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაში; იცის, რა გავლენას ახდენს ეს დარღვევები მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე; პროფესიულ ცოდნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიებისა და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ; ასევე შეუძლია განსაზღვროს ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ინდივიდუალური (პიროვნული) და გარემო ფაქტორები; იცის, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ფაქტორებმა სსსმ მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე; განსაზღვრავს საბაზო აკადემიური უნარების (წერა, კითხვა და ანგარიში) განვითარების მეთოდებსა და სტრატეგიებს, სსსმ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით;

სპეციალური მასწავლებლის წინაშე დღეს მალევე ბევრი პრობლემური საკითხი დგას. უმნიშვნელოვანესია, მასწავლებლებს სჯეროდეთ, რომ შესაძლოა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური წინსვლა, მათი წარმატება. გარდა ამისა, მასწავლებელმა კლასში სხვა მოსწავლეებიც უნდა მოამზადონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვების მისაღებად და მათ გასაგებად. ხშირად აწუხებთ კითხვები იმის შესახებ, რა ქნან, თუ ორი ან სამი ასეთი მოსწავლე ჰყავთ და რომელიმე მათგანი (გარკვეული საჭიროების გამო) ოთახიდან გაყვანას საჭიროებს? რა ქნას მასწავლებელმა, როცა ვერ ახერხებს ნორმალური გაკვეთილის ჩატარებას? რა ქნას მასწავლებელმა მაშინ, როცა სსსმ ბავშვთან არავის სურს დაწყვილება? მის გვერდით დაჯდომა? როცა

⁵ სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

თავს იჩენს ძალიან ბევრი უცნაური და არაპროგნოზირებადი საქციელი?! მათ სჭირდებათ დამხმარე პერსონალი. ასევე სხვა დამატებითი აქტივობები და სერვისები, როგორცაა საუბრები მშობლებთან, მათთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება. პედაგოგებმა განივითარონ უნარები, რათა შეძლონ მოსწავლის იდენტიფიკაცია, მათი ძლიერი მხარის და საჭიროებების დადგენა; გამოკვეთოს მოსწავლის ინტერესები და ჩართოს არამარტო საგაკვეთილო პროცესში, არამედ არაფორმალურ განათლებაში, სადაც ძირითადად ხდება მოსწავლის სოციალიზაცია/ინტეგრაცია. ეს შემდგომში ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასების ამაღლებას და საგაკვეთილო პროცესში აქტიურ ჩართულობას. მასწავლებელმა მოსწავლეს, მისი შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, საგანმანათლებლო შედეგის, მაღალი აკადემიური მოსწრებისა თუ სხვა კონკრეტული წარმატების მოლოდინი უნდა შეუქმნას, რომ იზრუნოს მოსწავლის ყოველდღიურ აკადემიურ წინსვლაზე და ა.შ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების მშობლებსა და სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაა. მასწავლებელი, მშობლებთან თანამშრომლობის გზით, უნდა ეცადოს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვმა თავი საზოგადოების სრულფასოვლიან წევრად იგრძნოს.⁶

სპეც. მასწავლებლის როლი ინკლუზიურ განათლებაში უდავოდ დიდია. სხვადასხვა კვლევები სპეც. მასწავლებელს განიხილავს როგორც ლიდერს, რომელსაც აქვს სხვადასხვა უნარები. კ. ბორნესი, ტ. ოვერლანდი და სხვები თავიანთ კვლევაში „მასწავლებელი, როგორც ლიდერი“, თვლიან, რომ პირველ რიგში, სპეც. მასწავლებელი უნდა იყოს მისაბამი მაგალითი ბავშვებისა და მოზარდებისთვის. მან უნდა შეძლოს: სწავლა-სწავლების დაგეგმვა და ორგანიზება, მოტივაციის გაღვივება და მოსწავლეების ფორმალური და არაფორმალური გარემო, სასწავლო პროცესის მომზადება და მონიტორინგი, სწავლა/სწავლებისთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, კონსულტაცია და უფლებების გადაცემა, გუნდისა და ქსელის აგება.⁷ ამავე დროს ავტორები მიუთითებენ იმ კომპეტენციებზეც, რასაც სპეციალური მასწავლებელი უნდა ფლობდეს: ცოდნაზე დაფუძნებული კლასის ლიდერობა, კვლევასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა, კლასის მართვა, მომხმარებლის ცოდნა, თანამშრომლობა სხვებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, კონცენტრაცია პოზიტივზე, ბრალის დადების თავიდან აცილება, გადაწყვეტაზე ორიენტაციის აღება და სხვა.

მასწავლებლის მიერ სსსმ მოსწავლისთვის სწორად შერჩეული რესურსები განაპირობებს სწავლა-სწავლების წარმატებულ პროცესს. ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევადობა მხოლოდ სწორად შერჩეული რესურსების საშუალებითაა შესაძლებელი. მკვლევარები გოდმანი და ადლერი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ რესურსების შერჩევა უნდა მოიცავდეს როგორც ტრადიციულ, ასევე ინოვაციურ მიდგომებს. ტრადიციული რესურსები მოიცავს სახელმძღვანელოებს, საკლასო მასალებს და სხვა ტიპურ საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ძირითადი ცოდნის და უნარების განვითარებას.⁸

კოელო და სხვა ავტორები თავიანთ ნაშრომში აღნიშნავენ, რომ სოციალური და ემოციური სწავლების პროგრამები უზრუნველყოფს მოსწავლეთა უკეთეს ინტეგრაციას და ტრანზიციას საშუალო სკოლაში. ეს მიდგომა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ განმავითარებელი რესურსების შერჩევა უნდა მოიცავდეს მრავალფეროვან კომპონენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა სრული პოტენციალის განვითარებას.⁹

მინტცესი და სხვა ავტორები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია იცოდნენ, თუ როგორ გამოიყენონ და შეარჩიონ რესურსები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა უნარების და ცოდნის განვითარებას. ეს მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, მუდმივად განავითარონ თავიანთი

⁶ სამწუხაროდ, როგორც კვლევები გვიჩვენებს, ძალიან ხშირად ერთიან საკლასო სივრცეში ინკლუზიური სწავლების წინააღმდეგ მშობლები გამოდიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის კლასში ყოფნა უარყოფითად აისახება საერთო აკადემიურ მოსწრებაზე

⁷ კ. ბორნესი, ტ. ოვერლანდი და სხვები, მასწავლებელი, როგორც ლიდერი. წიგნიდან: ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება, პასუხისმგებელი რედაქტორი თ. პაჭკორია, 2008, გვ. 162-163

⁸ Goodman, J., & Adler, S. (1985). Becoming an Elementary Social Studies Teacher: A Study of Perspectives. Theory and Research in Social Education

⁹ Coelho, V., Brás, P., & Matsopoulos, A. (2021). Differential effectiveness of an elementary school social and emotional learning program during middle school transition in Portugal. School psychology

უნარები და ცოდნა, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე ინკლუზიურ განათლებაში.¹⁰

სპეც.მასწავლებლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (შემდეგში ისგ) შედგენა. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებელს ეხმარება გაკვეთილის დაგეგმვაში, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების განსაზღვრაში და მათი გათვალისწინებით, აქტივობების, ასახსნელი მასალის მიწოდების სწორი სტრატეგიების შერჩევაში, ასევე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის სენსო-მოტორულ, კოგნიტურ, ემოციურ, სოციალურ განვითარებას და მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას.

მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახის სასწავლო საჭიროება, მაგრამ მათგან მხოლოდ ნაწილი მოითხოვდეს ინტენსიურ დაგეგმვასა და მონიტორინგს. ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადად, სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტი არ მოითხოვს ადაპტირებასა და მოდიფიცირებას ყველა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.¹¹

სპეციალური მასწავლებელი სსსმ მოსწავლის განათლებასა თუ სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავს არა მხოლოდ მოსწავლის სკოლაში ყოფნისას, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლე სხვა სკოლაში გადადის. მასწავლებელი ამზადებს პორტფოლიოს, რომელშიც თავმოყრილია მოსწავლის შესახებ ყველა დოკუმენტაცია: მულტიდისციპლინური გუნდის დასვना, მოსწავლის კოგნიტური და აკადემიური უნარების შეფასების ფურცელი, ისგ გეგმები ყველა საგანში, მიღწევების დოკუმენტაცია, საბოლოო ანგარიში, მოსწავლის შექმნილი ნამუშევრები... ისგ მიყვება მოსწავლეს, რათა ახალმა პედაგოგმა გადახედოს და მოსწავლესთან მუშაობა შესაბამისად გააგრძელოს. ის აქტიურად თანამშრომლობს ახალი სკოლის სპეც. მასწავლებელთან თუ საგნის მასწავლებლებთან, დეტალურად აცნობს სსსმ მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს, საჭიროებებს, ყველაფერს, რაც კი სსსმ მოსწავლის სწავლასთან არის დაკავშირებული. ამ გზით ის ზრუნავს სსსმ მოსწავლის მომავალ მიღწევებზე.¹²

სპეციალური მასწავლებელი მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მულტიდისციპლინური გუნდი შედგება სხვადასხვა სპეციალისტებისაგან.. საჭიროების შემთხვევაში ერთვება მეტყველებისა და ქცევის თერაპევტი, რომელთა დასკვნის გათვალისწინებით, მოსწავლეზე დაკვირვებით, მშობელთან გასაუბრებისა თუ აკადემიური უნარების შეფასების საფუძველზე ადგენს ისგ-ს, შემდეგ კი მონაწილეობს, როგორც ამ გეგმის განხორციელებაში, ასევე მისი განხორციელების მონიტორინგში, გეგმის გადახედვის პროცესში; ისგ-ს ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში; ისგ დგება სწავლის დაწყებიდან ორ კვირაში. ამ პერიოდში ხდება მოსწავლეზე სხვადასხვა საგნის პედაგოგების მიერ დაკვირვება/შეფასება. შემდეგ შეიკრიბება ისგ გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის ხელმძღვანელი/დამრიგებელი. ისგ გუნდი შედგება ადმინისტრაციის წევრისაგან, დამრიგებელი, სპეციალური პედაგოგი, მშობელი, საგნის პედაგოგები. საჭიროებისამებრ სხვა სპეციალისტები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად, მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.)¹³. მონაცემები კონფიდენციალურია და მშობლის ნებართვის გარეშე აკრძალულია მისი სხვა პირისთვის გადაცემა.

ხშირად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მოუძაადებლად ხვდებიან სსსმ მოსწავლის მშობლების სურვილს, რომლებსაც ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე აქვთ უფლება, შეარჩიონ ის სკოლა, რომელიც მისთვის ტერიტორიულად ხელმისაწვდომია. ამავდროულად კანონის თანახმად, „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც

¹⁰ Mintzes, J., Marcum, B., Messerschmidt-Yates, C., & Mark, A. (2013). Enhancing Self-Efficacy in Elementary Science Teaching With Professional Learning Communities. *Journal of Science Teacher Education*

¹¹ თ. გაგომიძე, თ. ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი, ინკლუზიური განათლების პრინციპები, გვ. 139

¹² თ. პაჭკორია ს. მაზმიშვილი თ. კბილცეცხლაშვილი, ქ. იაშვილი, მ. ჭელიძე- ინკლუზიური განათლება, მოსწავლე, ოჯახი და სკოლა, გვ.20

¹³ იქვე

აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის“ (მუხლი 9), „დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია“ (მუხლი 13). მაგალითად, თუ სკოლაში ირიცხება ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, იქ კი სათანადოდ ადაპტირებულია მხოლოდ პირველი სართული და ყველა დანარჩენი „სერვისი“, რომლითაც შეუძლიათ სარგებლობა სხვა მოსწავლეებს (სპორტული დარბაზი, სათამაშო მოედანი, ქიმიის ლაბორატორია მე-3 სართულზე და ა. შ.) ეტლით მოსარგებლე ბავშვისთვის ხელმისაწვდომი არ არის, დარღვეულია განათლების პირველი ფუნდამენტური უფლება - ხელმისაწვდომობა.¹⁴

ჩვენ ზედმიწევნით მართებულად მიგვაჩნია სალამანკას დეკლარაციით შემოთავაზებული რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც; „სპეციალურმა სკოლებმა უნდა შეძლონ მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების იდენტიფიკაცია, გამოიყენონ სწავლების განსხვავებული სტილი და ტემპი, უზრუნველყონ ყველასათვის ხარისხიანი განათლება ადეკვატური სასწავლო პროგრამების, ორგანიზაციული ღონისძიებების, სასწავლო სტრატეგიებისა და რესურსების გამოყენებით. ყველა სკოლაში უნდა იყოს მომსახურების სპექტრი, რომელიც შეესატყვისება სწავლაში განსაკუთრებულ მოთხოვნებს და გამოწვევას. ასეთი ტიპის სკოლები ხელს უწყობს მისაწვდომობის პრინციპის განხორციელებას, მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის ეფექტურობას და განათლების ხარჯთეფექტურობას”.¹⁵

Nino Mazmishvili

The role of a special teacher in inclusive education

Abstract

Education is an inherent right of every child. The state is mandated to ensure access to education and provide equal opportunities for all children, irrespective of their needs, ethnic, religious, or racial background. Historically, children with special educational needs were often isolated from the broader society and denied the opportunity to receive education alongside their peers in mainstream educational settings. The success of inclusive education is contingent upon having a well-trained staff, with the teacher playing a pivotal role in this context. Teachers today face significant challenges, including effectively conducting integrated lessons, facilitating communication between children with disabilities and their typically developing peers, and implementing appropriate responses to unusual or unpredictable behavior. We think that state policy plays a crucial role in the integration of children with disabilities into the education system, with the teacher serving as the primary driving force behind this effort.

¹⁴ მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი, ჟ. კვაჭაძე, რ. ლორთქიფანიძე, ნ. გაჩეჩილაძე, სასწავლო აქტივობები ყველასათვის სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში გზამკვლევი მასწავლებლებისთვის,